საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 23 0000183116

16/02/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №16540/01-06-03 (ცენტრში რეგისტრაციის № 1394952, 02/11/2022) წერილი "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 22 ნოემბრის № 1491506 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 8 დეკემბრის № 1566195 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება № 50431) საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2022 წლის 20, 21, 22 და 23 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 15 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ “ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით;
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა “ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის №183046 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

4.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის;
4.3 სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;
4.4 რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის;
4.5 რეკომენდირებულია ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/დისტანციური სწავლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

რჩევები:

- უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო გეგმაში შესაძლებელია კავკასიის შესწავლის უფრო გლობალური მიდგომის ჩართვა. ეს მოიცავს საქართველოს კონტაქტების აღიარებას ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან, აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ლიტერატურებს შორის ურთიერთობის შესწავლას;
- განხილულ იქნეს დაბალი მიღების პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო პოპულარული გახადოთ;
- შემოთავაზებულია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, განსაკუთრებული აქცენტით კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევის პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;
- შემოთავაზებულია დოქტორანტების სემინარის მსგავსი აქტივობის ან კურსის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების ეტაპობრივ გაუმჯობესებას რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ;
- შემოთავაზებულია კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ ინფორმაციისა და ცალკე შესაბამისი დოკუმენტების (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები) შეგროვება და მიწოდება;
- მიზანშეწონილია, სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება. მიზანშეწონილია, დოქტორანტის ხელმძღვანელების მაქსიმალური ლიმიტის გადახედვა;
- სასურველია სტუდენტური სივრცეების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტში;
- უმჯობესია, აკადემიური კურსებით მოწოდებული მასალის რაოდენობა, მისი გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა, შეესაბამებოდეს კონკრეტულ აკადემიურ კურსზე მინიჭებულ კრედიტს და ამ კრედიტების შესაბამის ლექცია-სემინარულ საათებსა და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით უზრუნველყოფილი ელექტრონული რესურსების, სწავლებისა და კვლევის ციფრული ელემენტების ეფექტური რეალიზაციისათვის მატერიალურტექნიკური ბაზის ინტენსიური გამოყენება, რაც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ძალისხმევას აღნიშნული რესურსის შეთავაზებისა და სტუდენტების მოტივაციის ამაღლების კუთხით.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2024 წლის 15 თებერვალი.
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 15 თებერვალს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

დანართი № 1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 223, 18.07.12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართველური ენათმეცნიერება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	15/02/2023
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი (2024 წლის 15 თებერვალი)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	15/02/2030